



## სოფიკო კიკაბიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების ასისტენტი, ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი, თეატრის მხატვარი.

1997 წელს დაამთავრა თბილისის კულტურის სახელმწიფო

ინსტიტუტის ხელოვნების ფაკულტეტი, ქართული

ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობით.

2003 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, თეატრის დეკორაციული მხატვრობის სპეციალობით.

2011 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა, ქართული ცეკვის და სადადგმო ხელოვნების პედაგოგიის სპეციალობით.

1999-2005 წწ. მუშაობდა თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგად. საგანი - ცეკვის სასცენო გაფორმება, მსოფლიო კოსტიუმების ისტორია და ქართული კოსტიუმის ისტორია. ამავე უნივერსიტეტში ქორეოგრაფიული კათედრის პედაგოგის ასისტენტად: საგანი - ქართული ცეკვა და სადადგმო ხელოვნება.

2006 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დრამის ფაკულტეტზე ასისტენტის თანამდებობაზე.

2006-2011 წწ. მუშაობდა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დამდგმელი მხატვარის თანამდებობაზე.

2011 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში დამდგმელი მხატვრის თანამდებობაზე.

გაფორმებული აქვს 45-ზე მეტი სპექტაკლი და 5 კინოფილმი (დამდგმელი მხატვარი, კოსტიუმების მხატვარი, ქორეოგრაფიული გაფორმება)

მონაწილეობდა სხვადასხვა შემოქმედებით-საგანმანათლებლო პროექტებში: ახალგაზრდა სცენოგრაფთა კავშირის გამოფენა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მასტერკლასები და სემინარები, საერთაშორისო ახალგაზრდული მოკლე ფილმების ფესტივალი „სესილი“, სტუდენტური ქორეოგრაფიულ ფორუმ-ფესტივალი „ტეფსიქორე“ და სხვა.